საქართველოს მთავრობის

დადგენილება №57

2014 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ სააქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულება.

მუხლი 2

დადგენილება ასევე გამოქვეყნდეს „ზღვაოსანთა უწყებებში“, ლოციებსა და სხვა სახელმძღვანელოებში, რომლებიც გამოიყენება ნაოსნობისთვის.

მუხლი 3

ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს ძალადაკარგულად გამოაცხადოს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 ივნისის №380 ბრძანებულება „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

„საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. 1982 წლის „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს კონვენციის 22-ე მუხლის შესაბამისად ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში დგინდება საზღვაო დერეფნები და მოძრაობის გამყოფი სქემები.

2. „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულება (შემდეგში – დებულება) შემუშავებულია „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ტერიტორიულ ზღვაში ადგენს ნაოსნობის წესებს.

3. მოცემული ნაოსნობისათვის დადგენილი საზღვაო დერეფნები და მოძრაობის გამყოფი სქემები განსაზღვრავს საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში გემების ნაოსნობის რეჟიმს და ვრცელდება ყველა გემზე, რომელიც იმყოფება საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში.

4. საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში მცურავი გემები ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ საქართველოს სახელმწიფო საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრს საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში მოხსენებათა სისტემის (GEOREP) მოთხოვნების შესაბამისად, ცირკულარი IM0№ SN/circ. 230. 20.02.2003.

განედი N		გრძედი E	განედი N		გრძედი E
A	φ =43^{0}23.00'N	λ =040^{0}00.50'E	E	φ =42^{0}02.00'N	λ = 040^{0}26.00'E
B	φ =42^{0}24.00'N	λ =038^{0}41.00'E	F	φ =41^{0}57.00'N	λ =040^{0}42.00'E
C	φ =42^{0}20.15'N	λ =039^{0}00.13'E	G	φ =41^{0}35.50'N	λ =041^{0}16.50'E
D	φ =42^{0}08.00'N	λ =039^{0}50.50'E	H	φ =41^{0}31.00'N	λ =041^{0}33.00'E

5. საქართველოს ნავსადგურებსა და რეიდზე ნაოსნობა რეგულირდება „ნავსადგურის წესების” დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 აგვისტოს N019 ბრძანების შესაბამისად.

6. ნაოსნობის რეჟიმის ცვლილებების შესახებ განაცხადი მეზღვაურებს გადაეცემა სანავიგაციო შეტყობინების მეშვეობით მოქმედი საერთაშორისო სისტემის რაიონში სანავიგაციო და მეტეოროლოგიური გაფრთხილების (NAVAREA) შესაბამისად.

7. ყველა გემი, რომელიც ახორციელებს ნაოსნობას საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში ან დგას ღუზაზე, ვალდებულია შეასრულოს მოთხოვნები საერთაშორისო საზღვაო რადიოკავშირის წესების შესაბამისად.

8. ამ დებულებასა და მის თანდართულ სქემებზე აღნიშნული გეოგრაფიული კოორდინატები შესრულებულია WGS-1984 კოორდინატების სისტემის შესაბამისად.

9. ამ დებულებასა და მის თანდართულ სქემებზე აღნიშნული და დატანილი რაიონებისა და მოძრაობის მარშრუტების დასანომრად გამოიყენება საერთაშორისო საზღვაო პრაქტიკაში მიღებული ნუმერაცია შემდეგი სახით:

ა) ყოფილი ნაღმსაშიში რაიონები – 1 – 10;

ბ) (ამოღებულია – 07.03.2016, №113);

გ) ნაოსნობისათვის აკრძალული რაიონები – 21 – 30;

დ) ნაოსნობისათვის დროებით აკრძალული რაიონები – 34 - 40;

ე) ამოღებული გრუნტის საყრელი რაიონები – 41 – 50;

ვ) საბრძოლო მომზადების რაიონები – GG 001 – GG 009;

ზ) მოძრაობის რეკომენდებული ორმხრივი მარშრუტები საქართველოს ნავსადგურების მისასვლელებთან (თავისი მისასვლელი წერტილებით – G 01 და G 05) – 1 – 10;

თ) მოძრაობის რეკომენდებული ორმხრივი მარშრუტები საქართველოს ნავსადგურებს შორის – 01 – 09.

10. ამ დებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გემის კაპიტნებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №113 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **ნაოსნობის რეჟიმი** – რეჟიმი, რომელიც ადგენს გემების ნაოსნობის წესებს, ნაოსნობისათვის განსაზღვრულ რეკომენდებულ მარშრუტებს, აგრეთვე განსაკუთრებული სიფრთხილისა და სპეციალურ საზღვაო რაიონებს.

2. **მოძრაობის გამყოფი ხაზი** – ხაზი, რომელიც ჰყოფს ურთიერთსაწინააღმდეგო ან თითქმის ურთიერთსაწინააღმდეგო მოძრაობის მიმართულებებს. გემი უნდა მოძრაობდეს მარჯვენა მხარეს და არ გადაკვეთოს ხაზი. ხაზის გადაკვეთა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და გადაკვეთა უნდა ხორციელდებოდეს მართი კუთხით.

3. **ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონი** – ნიშნავს რაიონს, რომელიც დგინდება გემების შეჯახების თავიდან აცილების მიზნით ინტენსიური ნაოსნობის ადგილებში და შედგება მოძრაობის გამყოფი ზონისაგან და წრიული მოძრაობის რაიონისაგან.

4. **წრიული მოძრაობის რაიონი** – რაიონი, რომელიც მოიცავს გარკვეული საზღვრების ფარგლებში მოძრაობის წრიულ ზოლში მოძრაობის გამყოფ წრიულ წერტილს ან ზონას.

5. **მოძრაობის გამყოფი ზონა** – ზონა, რომელიც ჰყოფს მოძრაობის ურთიერთსაწინააღმდეგო ან თითქმის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებს.

6. **რეკომენდებული მარშრუტი** – სპეციალურად გამოკვლეული ზოგადი მარშრუტი, რომელიც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იცავს გემს საფრთხისაგან.

7. **ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი** – გარკვეული საზღვრებით განსაზღვრული მარშრუტი, რომლის მიხედვითაც დადგენილია უსაფრთხო ორმხრივი მოძრაობა გემების შეჯახებისაგან თავის აცილების უზრუნველსაყოფად.

8. **ყოფილი ნაღმსაშიში რაიონი** – ზღვის აკვატორია, სადაც არსებობდა ნაღმის ველები და შემდეგ წარმოებდა ტრალვა. ნაღმებისა და სხვა ფეთქებადი ნივთიერებების შესაძლო არსებობის გამო ამ რაიონებში აკრძალულია ღუზაზე დგომა, თევზჭერის წარმოება ფსკერული თევზჭერის აღჭურვილობით, აგრეთვე ზღვის ფსკერზე სხვა სახის სამუშაოების შესრულება. ნაოსნობა ამ რაიონებში ხორციელდება მაქსიმალური სიფრთხილითა და გონიერებით.

9. (ამოღებულია – 07.03.2016, №113).

10. **ნაოსნობისათვის აკრძალული საზღვაო რაიონები** – ტერიტორიული ზღვისა და შიდა წყლების აკვატორია, რომელშიც სხვადასხვა მიზეზის გამო აკრძალულია გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების ნაოსნობა, გაჩერება, ღუზაზე დგომა, თევზჭერა და სხვ.

11. **ნაოსნობისათვის დროებით აკრძალული საზღვაო რაიონები** – ტერიტორიული ზღვის, შიდა წყლების და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ცალკეულ რაიონებად გამოყოფილი

აკვატორია, რომლებშიც გარკვეული ვადით, გარკვეული მიზნებისათვის ან ღონისძიებების განსახორციელებლად დროებით იკრძალება ნაოსნობა.

12. **საბრძოლო მომზადების რაიონი** – ტერიტორიული ზღვის, შიდა წყლების და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ცალკეულ რაიონებად გამოყოფილი აკვატორია, რომლებშიც ტარდება საბრძოლო მომზადება. ამ რაიონებში ნაოსნობა იკრძალება მხოლოდ გარკვეული ვადით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 5 დღით ადრე გაკეთებული განცხადების საფუძველზე, რომელიც უნდა ცხადდებოდეს საბრძოლო მომზადების დაწყებამდე. ყველა გემმა და თვითმფრინავმა თავი უნდა აარიდოს ამ რაიონებში შესვლას, გადაკვეთას და გადაფრენას, არ უნდა შეაფერხოს იმ სამხედრო ხომალდების მოქმედებები, რომლებიც დაკავებული არიან საბრძოლო მომზადებით. განსაკუთრებული ყურადღებით ადევნონ თვალი სამხედრო გემების სასიგნალო ნიშნებს, რომლებიც დღისით ატარებენ წითელ დროშებს, ხოლო ღამით იყენებენ მკვეთრ წითელ ან ნარინჯისფერ პერიოდულ მოციმციმე ნათებას, აგრეთვე შეასრულონ მათი განკარგულებები.

13. **სანავიგაციო აღჭურვილობის საშუალებები** – ნიშნავს ინჟინერულ ნაგებობას, რომელიც აგებულია ნაპირზე (ხმელეთზე) ან ზღვაზე. მოიცავს შუქურებს, შუქნიშნებს, სარყეს, ტივტივებს (ბუი), კვეთს და სხვ., რომელთა დანიშნულებაა ნავიგაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შეიძლება აღჭურვილი იყოს რადიოლოკაციური ანარეკლით ან/და, შუქურით. ტექნიკური მაჩვენებლები და კოორდინატები ზუსტად არის აღნიშნული რუკებზე, ლოციებში, ამ დებულებასა და სხვა სპეციალურ სახელმძღვანელოებში. მათი გადაადგილება, ტექნიკური მაჩვენებელების შეცვლა აკრძალულია სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურთან“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე და მათი დაზიანება ისჯება მოქმედი კანონმდებლობით. საქართველოში მიღებულია საერთაშორისო შუქურას სამსახურების ასოციაციის მარცხენა წითელი (რეგიონი A) სისტემა.

14. განსაკუთრებული შემთხვევები – „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის:

ა) ყულევის ნავსადგურის ფუნქციონირებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ნაოსნობა, მათ შორის, ფსკერდამაღრმავებელი და გრუნტის საყრელი საქმიანობის ჩათვლით;

ბ) ფოთის ნავსადგურის ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონით სარგებლობა;

გ) გარემოსდაცვითი კონტროლის განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №113 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

მუხლი 3. პირობითი ნიშნები

1. ამ დებულებაში თანდართულ სქემებზე გამოყენებული პირობითი ნიშნების დასახელება

№	პირობითი ნიშნები	დასახელება
1		სპეციალური საზღვაო რაიონი
2		მუდმივი საფრთხის საზღვაო რაიონის საზღვრების ზოგადი აღნიშვნა

3		ნაოსნობისათვის აკრძალული საზღვაო რაიონის საზღვარი
4		ნაოსნობისათვის დროებით აკრძალული საზღვაო რაიონის საზღვარი
5	(ამოღებულია – 07.03.2016, №113)	
6		სასწავლო სროლების რაიონი (საბრძოლო მომზადების რაიონი)
7		საბრძოლო მომზადების რაიონი
8		ყოფილი ნაღმსაშიში რაიონი
9		სახელმწიფოს სახმელეთო საზღვარი
10		სახელმწიფოს საზღვაო საზღვარი
11		ღუზაზე დგომის რაიონი
12		ღუზაზე დგომის რაიონი ნომრის მითითებით
13		ღუზაზე დგომა ტანკერებისათვის
14		მოძრაობის გამყოფი სისტემა
15		მოძრაობის დადგენილი მიმართულება
16		მოძრაობის რეკომენდირებული მიმართულება
17		მოძრაობის გამყოფი ხაზი
18		მოძრაობის გამყოფი ზონა

19		წრიული მოძრაობის რაიონი
20		ნაოსნობისთვის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონი
21		ცალმხრივი რეკომენდირებული მარშრუტი
22	SEE NOTE SEE NOTE	ორმხრივი რეკომენდირებული მარშრუტი

2. ამ დებულებაში გამოყენებული აღნიშვნების შემოკლებული ჩამონათვალი

λ	– გრძედი
φ	– განედი
N	– ჩრდილოეთი
E	– აღმოსავლეთი
S	– სამხრეთი
W	– დასავლეთი
IMO	– საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
GMDSS	– ზღვაზე უბედურების და უსაფრთხოების გლობალური კავშირის სისტემა
COLREG-72	– ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები
NAVAREA	– რაიონში სანავიგაციო და მეტეოროლოგიური გაფრთხილება
GEOREP	– საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში მოხსენებათა სისტემა

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №113 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

თავი II
საზღვაო დერეფნები და მოძრაობის გამყოფი სქემები

მუხლი 4. მოძრაობის ორგანიზაცია

1. საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში ნაოსნობის რეჟიმი ხორციელდება რეკომენდებული მარშრუტებით, რომელიც მითითებულია რუკებზე, ლოციებში, ამ დებულებაში შემდეგი პრინციპებით:

ა) გემები ნაოსნობას ახორციელებენ რეკომენდებული მარშრუტებით ნავსადგურების განსაკუთრებული სიფრთხილის ნაოსნობის რაიონამდე;

ბ) ნავსადგურების განსაკუთრებული სიფრთხილით ნაოსნობის რაიონებში ნაოსნობა ხორციელდება განსაკუთრებული სიფრთხილით და ყველა გემი მოძრაობის დროს ყოველთვის უნდა იკავებდეს მოძრაობის მარჯვენა მხარეს.

2. თევზჭერისა და მცირეტონაჟიანი გემები მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონში მყოფი გემების მოშორებით.

3. განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონებში ყველა გემი უნდა იცავდეს განსაკუთრებულ სიფრთხილეს. გემების მიერ ზონის გადაკვეთა, მოძრაობის გაჩერება, (გარდა აფრიანი და თევზსაჭერი გემებისა) და ღუზაზე დგომა აკრძალულია. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე ყოველი აფრიანი და თევზსაჭერი გემი ვალდებულია დატოვოს ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხვა გემების მიერ აღნიშნული რაიონის უსაფრთხო გამოყენება.

4. წრიული მოძრაობის რაიონში ნაოსნობა ხორციელდება საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობის გამყოფი წრიული წერტილის ან ზონის ირგვლივ.

5. მოძრაობის გამყოფი ზონა, სადაც გემები მოძრაობენ მარჯვენა მხარით.

6. სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საკუთრებაში არსებულ მცურავ საშუალებებს უფლება აქვთ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ინფორმირების საფუძველზე, კვლევების ჩატარების მიზნით, შეუზღუდავად შევიდნენ, გადაადგილდნენ და იდგნენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში არსებულ ნაოსნობისთვის აკრძალულ და დროებით აკრძალულ რაიონებში.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №102 - ვებგვერდი, 28.02.2018წ.

მუხლი 5. მდინარე ფსოუდან ფოთის ნავსადგურამდე რეკომენდებული ორმხრივი მოძრაობის მარშრუტი

მდინარე ფსოუდან ფოთის ნავსადგურამდე ნაოსნობა ხორციელდება ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტით №1, რომლის მოძრაობის გამყოფი ხაზი გადის შემდეგ წერტილებზე:

ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი №1

წერტილის № ან დასახელება	წერტილის კოორდინატები		წერტილებს შორის გზის მიმართულება	ნაოსნობა, მილი
	განედი N	გრძედი E		
G 01	φ=42^{0}18.80'N	λ=41^{0}19.43'E		
			306^0 – 127^0	7,6
P 04	φ=42^{0}14.40'N	λ=41^{0}27.80'E		

მუხლი 6. ევრო-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მოძრაობის რეკომენდებული ორმხრივი მარშრუტი

ფოთის ნავსადგურიდან ევრო–აზიის სატრანსპორტო დერეფნის ნაოსნობა ხორციელდება ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტით.

ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი №3

წერტილის № ან დასახელება	წერტილის კოორდინატები		წერტილებს შორის გზის მიმართულება	ნაოსნობა, მილი
	განედი N	გრძედი E		

G02	φ=42⁰14.22'N	λ=41⁰17.98'E		
			110⁰ -290⁰	6,6
P03	φ=42⁰12.097'N	λ=41⁰26.39'E		

მუხლი 7. ჰუმანიტარული დერეფანი ფოთის ნავსადგურიდან სოხუმის ნავსადგურამდე

გემები ჰუმანიტარული ტვირთით, რომლებიც საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე მიემართებიან ჰუმანიტარული დერეფნით სოხუმის ნავსადგურში, უნდა მოძრაობდნენ ორმხრივი რეკომენდებული მიმართულებით G01 წერტილიდან A02 წერტილამდე, და შემდეგ A02 წერტილიდან A01 წერტილამდე.

ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი №05

წერტილის № ან დასახელება	წერტილის კოორდინატები		წერტილებს შორის გზის მიმართულება	ნაოსნობა, მილი
	განედი N	გრძედი E		
G01	φ=42⁰18.80'N	λ=41⁰19.43'E		
			320⁰,5-140⁰,5	34,0
A02	φ=42⁰45.10'N	λ=40⁰50.05'E		
			213⁰,5-33⁰,5	12,2
A01	φ=42⁰55.26'N	λ=40⁰59.22'E		

მუხლი 8. მოძრაობის რეკომენდებული ორმხრივი მარშრუტი ფოთის ნავსადგურის რაიონიდან ყულევის ნავსადგურამდე

ყულევის ნავსადგურის რაიონიდან ფოთის ნავსადგურამდე ნაოსნობა ხორციელდება ორმხრივი რეკომენდებული მიმართულებით, რომლის მოძრაობის გამყოფი ხაზი გადის შემდეგ წერტილებზე:

ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი №02

წერტილის № ან დასახელება	წერტილის კოორდინატები		წერტილებს შორის გზის მიმართულება	ნაოსნობა, მილი
	განედი N	გრძედი E		
K01	φ=42⁰18.78'N	λ=41⁰32.97'E		
			186⁰6	4,2
P01	φ=42⁰14.63'N	λ=41⁰32.36'E		

მუხლი 9. ფოთის ნავსადგურის ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონი

ფოთის ნავსადგურის ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონი არის წრიული მოძრაობის რაიონი, რომელსაც უერთდება მოძრაობის გამყოფი ჩრდილოეთი ზონა, მოძრაობის გამყოფი აღმოსავლეთი ზონა, მოძრაობის გამყოფი სამხრეთი ზონა, მოძრაობის გამყოფი დასავლეთი ზონა, მოძრაობის გამყოფი ჩრდილოეთ-დასავლეთი ზონა **(PAPA).**

1. **წრიული მოძრაობის რაიონი** – მასში შედის მოძრაობის გამყოფი წრიული ზონა დიამეტრით 0,5 მილი ცენტრით წერტილში: φ =42⁰12.102'N; λ = 41⁰32.100'E და წრიული მოძრაობის ხაზი სიგანით 1,5 მილი გამყოფი წრიული ზონის ირგვლივ.

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგოდ წრიული ზონის ირგვლივ.

2. **მოძრაობის გამყოფი ჩრდილოეთი ზონა** – მასში შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ზონით, რომლის ღერძიც გადის შემდეგ წერტილებზე:

ა) φ=42^{0}14.645'N λ = 41^{0}32.357'E

ბ) φ=42^{0}13.652'N λ = 41^{0}32.240'E

მოძრაობის გამყოფი ზონის სიგანე – 0,2 მილი.

ფოთის ნავსადგურისაკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ=42^{0}14.683'N λ = 41^{0}31.619'E

ბ) φ=42^{0}13.571'N λ = 41^{0}31.470'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 186^0.

ფოთის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ=42^{0}13.452'N λ = 41^{0}33.000'E

ბ) φ=42^{0}14.772'N λ = 41^{0}33.140'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 006^0.

3. **მოძრაობის გამყოფი აღმოსავლეთი ზონა** – მასში (ფოთის ნავსადგურთან მისვლა და ნავსადგურიდან გამოსვლა) შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ორი ზონით.

1. მოძრაობის გამყოფი პირველი ზონა, რომლის ღერძი გადის შემდეგ წერტილებზე:

ა) φ=42^{0}11.502'N λ = 41^{0}33.90'E

ბ) φ=42^{0}10.872'N λ = 41^{0}35.750'E

მოძრაობის გამყოფი ზონის სიგანე – 0,2 მილი.

2. მოძრაობის გამყოფი მეორე ზონა, რომელიც გადის შემდეგ წერტილებზე:

გ) φ=42^{0}10.542'N λ = 41^{0}36.420'E

დ) φ=42^{0}10.722'N λ = 41^{0}36.540'E

ე) φ=42^{0}10'330N λ = 041^{0}37'330E

ფოთის ნავსადგურისაკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

1. φ=42^{0}10.882'N λ = 41^{0}33.200'E

2. φ=42^{0}10.362'N λ = 41^{0}35.800'E

3. φ =42^{0}09.782'N λ = 41^{0}37.310'E

4. φ =42^{0}09.612'N λ = 41^{0}38.740'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 108^0.

ფოთის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

1. φ =42^{0}09.721'N λ = 41^{0}38.970'E

2. φ =42^{0}10.452'N λ = 41^{0}37.900'E

3. φ =42^{0}11.372'N λ = 41^{0}35.500'E

4. φ =42^{0}12.212'N λ = 41^{0}34.060'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 298^0.

4. **მოძრაობის გამყოფი სამხრეთი ზონა** – მასში შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ზონით, რომლის ღერძიც გადის შემდეგ წერტილებზე:

ა) φ =42^{0}10.612'N λ = 41^{0}32.240'E

ბ) φ =42^{0}09.122'N λ = 41^{0}32.460'E

მოძრაობის გამყოფი ზონის სიგანე – 0,3 მილი.

ფოთის ნავსადგურისაკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =42^{0}009.222'N λ = 41^{0}33.350'E

ბ) φ =42^{0}10.802'N λ = 41^{0}33.100'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 354^0.

ფოთის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =42^{0}10.702'N λ = 41^{0}31.300'E

ბ) φ =42^{0}09.082'N λ = 41^{0}31.570'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 174^0.

5. **მოძრაობის გამყოფი დასავლეთი ზონა** – მასში შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ზონით, რომლის ღერძიც გადის შემდეგ წერტილებზე:

ა) φ =42^{0}12.102'N λ = 41^{0}30.000'E

ბ) φ =42^{0}12.102'N λ = 41^{0}27.920'E

მოძრაობის გამყოფი ზონის სიგანე – 0,25 მილი.

ფოთის ნავსადგურისაკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =42^{0}11.632'N λ = 41^{0}27.920'E

ბ) φ =42^{0}11.632'N λ = 41^{0}30.110'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 90^0.

ფოთის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =42^{0}12.632'N λ = 41^{0}30.110'E

ბ) φ =42^{0}12.632'N λ = 41^{0}27.920'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 270^0.

6. **მოძრაობის გამყოფი ჩრდილოეთ-დასავლეთი ზონა** – მასში შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ზონით, რომლის ღერძიც გადის შემდეგ წერტილებზე:

ა) φ =42^{0}13.012'N λ = 41^{0}30.380'E

ბ) φ =42^{0}13.892'N λ = 41^{0}28.790'E

მოძრაობის გამყოფი ზონის სიგანე – 0,2 მილი.

ფოთის ნავსადგურისაკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =42^{0}13.542'N λ = 41^{0}28.420'E

ბ) φ =42^{0}12.632'N λ = 41^{0}30.110'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 126^0.

ფოთის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =42^{0}13.279'N λ = 41^{0}30.797'E

ბ) φ =42^{0}14.232'N λ = 41^{0}29.060'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 306^0

7. გემები, რომლებიც მიემართებიან ჩრდილოეთ ღუზაზე დასადგომად (რაიონი 200) ფოთის ნავსადგურისაკენ მოძრაობის მიმართულებიდან ფოთის ნავსადგურის ჩრდილოეთ ღუზის სადგომამდე და უკან.

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 25^0 – 205^0.

მუხლი 10. მოძრაობის ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი ფოთის ნავსადგურიდან ბათუმის ნავსადგურამდე

ფოთის ნავსადგურიდან ბათუმის ნავსადგურამდე ნაოსნობა, სუფსის ნავსადგურის ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონის გადაკვეთით, ხორციელდება ორმხრივი

რეკომენდებული მიმართულებით, რომლის მოძრაობის გამყოფი ხაზი გადის შემდეგ წერტილებზე:

ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი №01

წერტილის № ან დასახელება	**წერტილის კოორდინატები**		**წერტილებს შორის გზის მიმართულება**	**ნაოსნობა, მილი**
	განედი N	**გრძედი E**		
P02	φ=42⁰09.122'N	λ=41⁰32.460'E		
			174 – 354	24,3
B01	φ=41⁰44.922'N	λ=41⁰35.930'E		

მუხლი 11. მოძრაობის რეკომენდებული ორმხრივი მარშრუტი ფოთის ნავსადგურიდან სუფსის ნავსადგურამდე

ფოთის ნავსადგურიდან სუფსის ნავსადგურამდე ნაოსნობა ხორციელდება ორმხრივი რეკომენდებული მიმართულებით, რომლის მოძრაობის გამყოფი ხაზი გადის შემდეგ წერტილებზე:

ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი №03

წერტილის № ან დასახელება	**წერტილის კოორდინატები**		**წერტილებს შორის გზის მიმართულება**	**ნაოსნობა, მილი**
	განედი N	**გრძედი E**		
P02	φ=42⁰09.122'N	λ=41⁰32.460'E		
			174 – 354	4,0
S01 (Supsa)	φ=42⁰05.202'N	λ=41⁰33.060'E		

მუხლი 12. ბათუმის ნავსადგურის ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონი

ბათუმის ნავსადგურის ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონი არის წრიული მოძრაობის რაიონი, რომელსაც უერთდება მოძრაობის გამყოფი ჩრდილოეთი ზონა, მოძრაობის გამყოფი აღმოსავლეთი ზონა, მოძრაობის გამყოფი სამხრეთ-აღმოსავლეთი ზონა, მოძრაობის გამყოფი დასავლეთი ზონა (BRAVO).

1. **წრიული მოძრაობის რაიონი** – მასში შედის მოძრაობის გამყოფი წრიული ზონა დიამეტრით 0,5 მილი ცენტრით წერტილში: φ=41⁰42.002'N; λ=41⁰36.400'E და წრიული მოძრაობის ხაზი სიგანით 1,0 მილი გამყოფი წრიული ზონის ირგვლივ.

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგოდ წრიული ზონის ირგვლივ.

2. **მოძრაობის გამყოფი ჩრდილოეთი ზონა** – მასში შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ზონით, რომლის ღერძი გადის შემდეგ წერტილებში:

ა) φ =41⁰43.002'N λ = 41⁰36.210'E

ბ) φ =41⁰44.922'N λ = 41⁰35.930'E

მოძრაობის გამყოფი ზონის სიგანე – 0,3 მილი.

ბათუმის ნავსადგურისაკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =41⁰44.892'N λ = 41⁰35.100'E

ბ) φ =41⁰42.692'N λ = 41⁰35.410'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 174⁰.

ბათუმის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =41^{0}42.792'N λ = 41^{0}37.120'E

ბ) φ =41^{0}45.002'N λ = 41^{0}36.810'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 354^0.

3. **მოძრაობის გამყოფი აღმოსავლეთი ზონა** – მასში შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ზონით, რომლის ღერძი გადის შემდეგ წერტილებში:

ა) φ =41^{0}42.002'N λ = 41^{0}37.730'E

ბ) φ =41^{0}42.002'N λ = 41^{0}38.860'E

მოძრაობის გამყოფი ზონის სიგანე – 0,3 მილი

ბათუმის ნავსადგურისაკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =41^{0}42.622'N λ = 41^{0}38.860'E

ბ) φ =41^{0}42.622'N λ = 41^{0}37.400'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 270^0.

ბათუმის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის შემდეგ წერტილებში:

ა) φ =41^{0}41.332'N λ = 41^{0}37.400'E

ბ) φ =41^{0}41.332'N λ = 41^{0}38.280'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 90^0.

4. **მოძრაობის გამყოფი სამხრეთ-აღმოსავლეთი ზონა** – მასში (ბათუმის ნავსადგურთან მისვლა და ბათუმის ნავსადგურიდან გასვლა) შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ზონით, რომელიც გადის შემდეგ წერტილებში:

ა) φ =41^{0}41.072'N λ = 41^{0}36.890'E

ბ) φ =41^{0}41.182'N λ = 41^{0}37.100'E

გ) φ =41^{0}40.521'N λ = 41^{0}37.720'E

ბათუმის ნავსადგურისკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =41^{0}41.062'N λ = 41^{0}35.710'E

ბ) φ =41^{0}39.442'N λ = 41^{0}38.530'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 130^0.

ბათუმის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =41^{0}39.022'N λ = 41^{0}39.310'E

ბ) φ =41^{0}39.912'N λ = 41^{0}38.860'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 330^0

5. **მოძრაობის გამყოფი დასავლეთი ზონა** – მასში შედის მოძრაობის ორი მიმართულება, რომელიც გამიჯნულია მოძრაობის გამყოფი ზონით, რომლის ღერძი გადის შემდეგ წერტილებში:

ა) φ =41^{0}42.002'N λ = 41^{0}35.100'E

ბ) φ =41^{0}42.002'N λ = 41^{0}32.480'E

მოძრაობის გამყოფი ზონის სიგანე – 0,3 მილი.

ბათუმის ნავსადგურისაკენ მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =41^{0}41.332'N λ = 41^{0}32.480'E

ბ) φ =41^{0}41.332'N λ = 41^{0}35.350'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 90^0.

ბათუმის ნავსადგურიდან მოძრაობის გარე საზღვარი გადის:

ა) φ =41^{0}42.622'N λ = 41^{0}35.350'E

ბ) φ =41⁰42.622'N λ = 41⁰32.480'E

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 270⁰.

6. გემი, რომელიც მიემართება ბათუმის ნავსადგურის ღუზაზე დგომის რაიონში (რაიონი 100) და მოემართება უკან, იყენებს მოძრაობის გამყოფ აღმოსავლეთ ზონას. გემი, რომელიც მიემართება ბათუმის ნავსადგურის ღუზაზე დგომის რაიონიდან (რაიონი 100) ბათუმის ნავსადგურში, იყენებს მოძრაობის ერთ მიმართულებას, რომელიც შემოსაზღვრულია:

ჩრდილოეთიდან – მოძრაობის გამყოფი ზონით, რომელიც გადის შემდეგ წერტილებზე:

ა) φ =41⁰41.332'N λ = 41⁰37.400'E

ბ) φ =41⁰41.332'N λ = 41⁰38.280'E

გ) φ =41⁰40.722'N λ = 41⁰38.600'E

სამხრეთიდან მისაღები ტივტივათი (ბათუმის ნავსადგური)

მოძრაობის დადგენილი მიმართულება – 214⁰.

მუხლი 13. შავი ზღვის დასავლეთის ნაწილიდან ბათუმის ნავსადგურამდე მისასვლელები

გემმა, რომელიც მიემართება შავი ზღვის დასავლეთის ნაწილიდან ბათუმის ნავსადგურისაკენ, უნდა იმოძრაოს ორმხრივი რეკომენდებული მიმართულებით B02 წერტილიდან – G04 წერტილამდე, შემდეგ G04 წერტილიდან ბათუმის ნავსადგურის ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონამდე და შემდეგ ამ რაიონიდან ბათუმის ნავსადგურამდე.

ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი №5

წერტილის № ან დასახელება	**წერტილის კოორდინატები**		**წერტილებს შორის გზის მიმართულება**	**ნაოსნობა, მილი**
	განედი N	**გრძედი E**		
B02	φ=41⁰42.002'N	λ =41⁰31.200'E		
			098 – 278	8,3
G04	φ=41⁰43.150'N	λ =41⁰20.253'E		

მუხლი 14. ბათუმის ნავსადგურიდან სარფამდე მოძრაობის რეკომენდებული ორმხრივი მარშრუტი (მცირეტონაჟიანი გემებისათვის)

გემმა, რომელიც მიემართება ბათუმის ნავსადგურიდან სარფამდე, უნდა იმოძრაოს ორმხრივი რეკომენდებული მიმართულებით B02 წერტილიდან – G05 წერტილამდე.

ორმხრივი რეკომენდებული მარშრუტი №6

წერტილის № ან დასახელება	**წერტილის კოორდინატები**		**წერტილებს შორის გზის მიმართულება**	**ნაოსნობა, მილი**
	განედი N	**გრძედი E**		
B02	φ=41⁰42.002'N	λ=41⁰31.200'E		
			225 – 045	8,1
G05	φ=41⁰36.352'N	λ=41⁰23.648'E		

თავი III
სპეციალური საზღვაო რაიონები

მუხლი 15. ყოფილი ნაღმსაშიში რაიონები

ყოფილი ნაღმსაშიში რაიონები და საზღვრები

რაიონის №	რაიონის მდებარეობა	რაიონის საზღვრები	
		განედი	გრძედი
1 (32)	ბიჭვინთის კონცხი სამხრეთ-აღმოსავლეთით	1. φ = 43⁰05.402'N 2. φ = 43⁰01.252'N 3. φ = 42⁰58.902'N 4. φ = 43⁰03.502'N	λ = 40⁰27.000'E λ = 40⁰33.250'E λ = 40⁰30.200'E λ = 40⁰23.400'E

შენიშვნა: ფრჩხილებში მითითებული საზღვაო რაიონების ნომრები რაიონის ძველი ნომერია, მაგ.: „1 (32)“, სადაც: 1 არის რაიონის ახალი ნომერი, (32) – რაიონის ძველი ნომერი.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №113 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

მუხლი 16. (ამოღებულია)
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №113 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

მუხლი 17. ამოღებული გრუნტის საყრელი რაიონები

რაიონის №	რაიონის მდებარეობა	რაიონის საზღვრები	
		განედი	გრძედი
41 (30)	ოჩამჩირის რაიონი ამოღებული გრუნტის საყრელი	1. φ = 42⁰44.201'N 2. φ = 42⁰44.922'N 3. φ = 42⁰44.332'N 4. φ = 42⁰44.052'N	λ = 41⁰26.000'E λ = 41⁰26.200'E λ = 41⁰26.309'E λ = 41⁰26.520'E
42 (20)	ფოთის ნავსადგური ამოღებული გრუნტის საყრელი	1. φ = 42⁰08.422'N 2. φ = 42⁰09.002'N 3. φ = 42⁰09.002'N 4. φ = 42⁰08.422'N	λ = 41⁰38.330'E λ = 41⁰38.330'E λ = 41⁰38.540'E λ = 41⁰38.540'E
43 (10)	ბათუმის ნავსადგური ამოღებული გრუნტის საყრელი	1. φ = 41⁰39’42.0’’N 2. φ = 41⁰39'54.0’’N 3. φ = 41⁰39'54.0’’N 4. φ = 41⁰39'42.0’’N	λ = 41⁰39’16.0’’E λ = 41⁰39’16.0’’E λ = 41⁰39’36.5’’E λ = 41⁰39’36.5’’E
44	ყულევის ნავსადგური ამოღებული გრუნტის საყრელი	1. φ = 42⁰16’07’’N 2. φ = 42⁰16’07’’N 3. φ = 42⁰15’31’’N 4. φ = 42⁰15’31’’N	λ = 41⁰35’43’’E λ = 41⁰35’07’’E λ = 41⁰35’07’’E λ = 41⁰35’43’’E

მუხლი 18. ნაოსნობისათვის აკრძალული რაიონები

1. ნაოსნობისათვის აკრძალული რაიონები და საზღვრები:

რაიონი №	რაიონის დასახელება	რაიონის საზღვრები	
		განედი	გრძედი
21	ფსოუ (PSOU)	1. φ = 43⁰23.002'N 2. φ = 43⁰14.080'N 3. φ = 43⁰22.948'N 4. φ = 43⁰14.376'N	λ = 40⁰00.500'E λ = 39⁰50.325'E λ = 40⁰02.056'E λ = 39⁰48.765'E

2. ზღვის ნაკრძალი რაიონი და საზღვაო სანიტარიული რაიონები.

საქართველოში იქმნება შემდეგი ზღვის ნაკრძალი რაიონი და საზღვაო სანიტარიული რაიონები:

ა) ზღვის ნაკრძალი რაიონი – საქართველოს ტერიტორიული ზღვის სანაპირო ზოლი მდინარე რიონის შესართავიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ანაკლიის დასახლებულ პუნქტამდე, რომლის სიგანე 5 საზღვაო მილია. ზღვის ნაკრძალ რაიონს ეკვრის ორი მილის სიგანის დამცავი ზონა. ამ რაიონში აკრძალულია თევზჭერა. ნაოსნობა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შეთხვევებში;

ბ) საქართველოს პირველი საზღვაო სანიტარიული რაიონი (წყლით სარგებლობის ზონა) – საქართველოს შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვის სანაპირო ზოლი, რომლის სიგანე 12 საზღვაო მილია. ამ ზონაში აკრძალულია ნავთობშემცველი ნარევების, გემების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ნარჩენების გემის გამდინარე წყლებისა და ტანკერებიდან სუფთა ბალასტის ზღვაში ჩაშვება;

გ) მეორე საზღვაო სანიტარიული რაიონი – სანაპირო ზონა, რომლის სიგანე 50 საზღვაო მილია. ამ ზონაში აკრძალულია ნავთობშემცველი წყლებისა და სუფთა ბალასტის ზღვაში ჩაშვება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც იმავდროულად სრულდება „გემებიდან დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 19. ნაოსნობისათვის დროებით აკრძალული რაიონები

1. „საქართველოს უფლებების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უშიშროების დაცვის მიზნით“ „საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის საზღვაო რაიონში საქართველოს უფლებების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უშიშროების დაცვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 აგვისტოს №313 ბრძანებულების საფუძველზე დროებით დახურულია საქართველოს ტერიტორიული ზღვის ჩრდილოეთი ნაწილი, რაიონი №34 შემდეგი კოორდინატებით:

რაიონის №	**რაიონის მდებარეობა**	**რაიონის საზღვრები**	
		განედი	**გრძედი**
34	საქართველოს ტერიტორიული ზღვის ჩრდილოეთი ნაწილი	1. φ=43^{0}23.08'N	λ=40^{0}00.36'E
		2. φ=43^{0}14.42'N	λ=39^{0}48.54'E
		3. φ=43^{0}12.002'N	λ=40^{0}00.240'E
		4. φ=43^{0}05.422'N	λ=40^{0}04.240'E
		5. φ=43^{0}02.002'N	λ=40^{0}09.000'E
		6. φ=42^{0}59.062'N	λ=40^{0}14.480'E
		7. φ=42^{0}58.062'N	λ=40^{0}23.360'E
		8. φ=42^{0}55.302'N	λ=40^{0}28.480'E
		9. φ=42^{0}54.362'N	λ=40^{0}35.120'E
		10. φ=42^{0}54.002'N	λ=40^{0}43.480'E
		11. φ=42^{0}52.242'N	λ=40^{0}46.000'E
		12. φ=42^{0}49.002'N	λ=40^{0}51.300'E
		13. φ=42^{0}43.242'N	λ=40^{0}55.000'E
		14. φ=42^{0}39.242'N	λ=40^{0}59.360'E
		15. φ=42^{0}37.242'N	λ=41^{0}05.240'E
		16. φ=42^{0}36.242'N	λ=41^{0}13.000'E
		17. φ=42^{0}35.242'N	λ=41^{0}15.180'E

		18. φ=42⁰31.062'N 19. φ=42⁰23.069'N 20. φ=42⁰24.298'N	λ=41⁰17.000'E λ=41⁰18.233'E λ=41⁰33.229'E

2. „საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის საზღვაო რაიონში საქართველოს უფლებების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უშიშროების დაცვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 აგვისტოს №313 ბრძანებულების საფუძველზე და 1982 წლის „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს კონვენციის 33-ე მუხლის (მიმდებარე ზონა) შესაბამისად, საქართველო 12 მილის მიმდებარე ზონაში ახორციელებს მკაცრ კონტროლს ფისკალური, სანიტარიული, საბაჟო, საემიგრაციო კანონმდებლობის დაცვისათვის.

3. სოხუმის ნავსადგურში შესვლა ნებადართულია ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული გემებისათვის საქართველოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ერთჯერადი ნებართვის საფუძველზე, დადგენილი წესით („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურებში ჰუმანიტარული დანიშნულების გემების მიმოსვლის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის №662 ბრძანებულება).

4. სოხუმის ნავსადგურში შესვლამდე და ნავსადგურის დატოვების შემდეგ ჰუმანიტარული დანიშნულების გემების შემოწმება (სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი) ხორციელდება ფოთის ნავსადგურის გარე რეიდის ღუზაზე დგომის რაიონებში.

რაიონის №	**რაიონის დასახელება**	**რაიონის საზღვრები**	
		განედი	**გრძედი**
200	ტანკერების შემოწმება	1. φ=42⁰11.24.0'N 2. φ=42⁰12.00.0'N 3. φ=42⁰11.12.0'N 4. φ=42⁰10.47.4'N 5. φ=42⁰10.36.0'N	λ=41⁰35.27.6'E λ=41⁰35.51.0'E λ=41⁰37.52.8'E λ=41⁰37.57.0'E λ=41⁰37.34.8'E
300	მშრალტვირთმზიდი გემების შემოწმება	1. φ=42⁰08.56.4'N 2. φ=42⁰10.21.0'N 3. φ=42⁰09.48.0'N 4. φ=42⁰08.56.4'N	λ=41⁰35.48.0'E λ=41⁰35.48.0'E λ=41⁰37.16.8'E λ=41⁰37.21.0'E

5. ნაოსნობისთვის დროებით აკრძალულ რაიონად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საზღვაო სივრცე, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის და რომელშიც ჩაშვებულია საწარმოო ინვენტარი ან აღმართულია ნაგებობა.

ა) აღნიშნული რაიონის კოორდინატები თანხმდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურთან, რომელსაც, თავის მხრივ, დადგენილი წესით აქვეყნებს სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური;

ბ) აღნიშნულ რაიონში ნაოსნობის დროებით აკრძალვა ვრცელდება სამეწარმეო საქმიანობის მთელ პერიოდში, გარდა მომსახურე მცურავი საშუალებებისა და გარემოსდაცვითი კონტროლის განმახორციელებელი მცურავი საშუალებებისა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის დადგენილება №113 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

მუხლი 20. საბრძოლო მომზადების რაიონები

საბრძოლო მომზადების რაიონი

რაიონი №	რაიონის დასახელება	რაიონის საზღვრები	
		განედი	გრძედი
GG001	BSF	1. φ=42⁰11.002'N 2. φ=41⁰46.002'N 3. φ=42⁰50.002'N 4. φ=42⁰24.002'N	λ=41⁰04.999'E λ=41⁰08.000'E λ=39⁰47.999'E λ=39⁰45.000'E
GG002	BSF	1. φ=42⁰33.002'N 2. φ=42⁰11.002'N 3. φ=42⁰26.002'N 4. φ=42⁰44.002'N	λ=41⁰02.000'E λ=41⁰05.000'E λ=39⁰28.000'E λ=39⁰29.000'E
GG003	საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების სწავლებისათვის	1. φ=42⁰23.027'N 2. φ=42⁰13.027'N 3. φ=42⁰52.727'N 4. φ=43⁰12.028'N	λ=41⁰14.705'E λ=41⁰06.705'E λ=39⁰48.205'E λ=39⁰50.705'E